ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 33.17.995

"19" აგვისტო 2015 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ე.თ" და „ე.კ" ქვეპუნქტების, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს N20-79 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 11 აგვისტოს N1 სხდომის ოქმით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის ეტაპები, პირობები, შეფასების კრიტერიუმები და ფორმები, საკონკურსო-საატესაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა, აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობა და კონკურსის ჩატარების გრაფიკი, დანართის შესაბამისად.

2. კონკურსის პროგრამა განისაზღვროს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს N20-80 დადგენილებით.

3. ინფორმაცია კონკურსის მე-2 ეტაპის - გასაუბრების გამართვის დროისა და ადგილის თაობაზე თითოეულ კანდიდატს ეცნობება ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.

4. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა.

5. აღნიშნული განკარგულება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპები, პირობები, შეფასების კრიტერიუმები და ფორმები, საკონკურსო-საატესაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა, აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობა და კონკურსის ჩატარების გრაფიკი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ტარდება 2 ეტაპად.

2. კონკურსის პირველი ეტაპია განცხადებების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმება), ხოლო მე-2 ეტაპია გასაუბრება. კონკურსის მეორე ეტაპზე დაიშვება მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს კონკურსის პირველ ეტაპს.

3. კონკურსის ჩატარების გრაფიკი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) პირველი ეტაპი (განცხადებების გადარჩევა) - განცხადებების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) მეორე ეტაპი (გასაუბრება) - კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებში (გასაუბრებას დაქვემდებარებულ კანდიდატთა რაოდნეობიდან გამომდინარე).

4. გასაუბრებაზე კანდიდატი ფასდება 6 კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ:

ა) კრიტერიუმი 1 - კომუნიკაციის უნარი;

ბ) კრიტერიუმი 2 - მოტივაცია;

გ) კრიტერიუმი 3 - პროფესიული მიღწევები;

დ) კრიტერიუმი 4 - ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი;

ე) კრიტერიუმი 5 - შესასრულებელი სამუშაოს ხედვა და სამუშაოს შესრულების მზადყოფნა;

ვ) კრიტერიუმი 6 - დამატებით კითხვებზე პასუხები.

5. კომისიის თითოეული დამსწრე წევრი ახდენს კანდიდატის ინდივიდუალურ შეფასებას და კანდიდატზე ადგენს ინდივიდუალირი შეფასების ფორმას (დანართი 1.1). კანდიდატი, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ფასდება მინიმალური 1-დან, მაქსიმალური 5 ქულის ჩათვლით.

6. კომისიის დამსწრე წევრის მიერ კანდიდატის ინდივიდუალური შეფასება არის ინდივიდუალური შეფასების ფორმაში პუნქტების (შეფასების კრიტერიუმების) მიხედვით დაფიქსირებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელიც მრგვალდება მეასედების სიზუსტით. ხოლო კანდიდატის საბოლოო შეფასება არის კომისიის ყველა წევრის მიერ კანდიდატის ინდივიდუალური შეფასების საშუალო არითმეტიკული.

კანდიდატის საბოლოო შეფასების შესახებ კომისია ადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასების ფორმას (დანართი 1.2)

7. გასაუბრების ეტაპზე მინიმალურ გამსვლელ ზღვარს წარმოადგენს 3 (სამი) ქულა (საბოლოო შეფასება). კანდიდატი, რომელიც გასაუბრების ეტაპზე საბოლოო შეფასების სახით მიიღებს 3 (სამ) ქულაზე ნაკლებს (მეასედების დამრგვალებით), აღარ განიხილება კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატად. თუ გასაუბრების ეტაპზე ვერცერთი კანდიდატი საბოლოო შეფასების სახით ვერ მიიღებს 3 (სამ) ან მეტ ქულას (მეასედების დამრგვალებით), ასეთ თანამდებობაზე კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.

8. კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად რეკომენდაციას აძლევს კანდიდატს, რომელსაც გასაუბრების შედეგების მიხედვით დაუფიქსირდა შეფასების ყველაზე მაღალი ქულა. თუ კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენ ორ ან მეტ კანდიდატს დაუფიქსირდა ქულათა (მეასედების სიზუსტით) თანაბარი რაოდენობა, კომისია ატარებს კენჭისყრას და უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც კომისიის უფრო მეტი წევრი დაუჭერს მხარს. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა. კენჭისყრის მიმდინარეობა და შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

9. კონკურსის საბოლოო შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც თან ახლავს საკონკურსო კომისიის დასკვნა კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად რეკომენდაციის მიცემის თაობაზე (დანართი 1.3). საკონკურსო კომიიის სხდომის ოქმს და დასკვნას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

10 კონკურსის საბოლოო შედეგებზე ინფორმაცია და რეკომენდაცია ვაკანტური თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის ან კანდიდატის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ, კომისიის მიერ წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

_____ _____თავმჯდომარეობით კომისიის წევრის
(თავმჯდომარის სახელი, გვარი)

_____მიერ_____
(სახელი, გვარი) (ვაკანტური თანამდებობის დასახელება)

_____ თანამდებობაზე განსახილველი კანდიდატის _____
(სახელი, გვარი)

ინდივიდუალური შეფასების ფორმა

** შენიშვნა: კომისიის წევრის შეფასება ქვემოთ მოტანილი ანკეტა-კითხვარის მიხედვით, მინიმალური 1-დან მაქსიმალური 5 ქულის ჩათვლით. თითოეულ პუნქტში შესაბამისი ციფრი შემოიხაზება წრიულად.*

1. კომუნიკაციის (მაგ: საკუთარი შესაძლებლობების წარდგენის) უნარი	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

2. მოტივაცია	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

3. პროფესიული მიღწევები	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

4. ლოგიკური მსჯელობა და ანალიზის (მაგ: სიტუაციური მაგალითი) უნარი	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

5. შესასრულებელი სამუშაოს ხედვა და მზადყოფნა	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

6. დამატებით კითხვებზე პასუხები	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

ინდივიდუალური შეფასება (საშუალო არითმეტიკული, მრგვალდება მეასედის სიზუსტით)

_____ ქულა

კომისიის წევრი (სახელი, გვარი) _____ ხელმოწერა _____

თარიღი __/_____/ 2015წ.

_____ თავმჯდომარეობით კომისიის
(თავმჯდომარის სახელი, გვარი)

მიერ_____
(ვაკანტური თანამდებობის დასახელება)

თანამდებობაზე განსახლველი კანდიდატის_____
(სახელი, გვარი)

საბოლოო შეფასების ფორმა

საბოლოო შეფასება ——— ქულა

კომისიის თავმჯდომარე
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი
(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

თარიღი: ___/_____/2015წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის
დასკვნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დასკვნით, თბილისის მერიის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად რეკომენდაცია მიეცეთ შემდეგ კანდიდატებს:

1. ვაკანტური პოზიციის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები (სახელი გვარი);
2. ვაკანტური პოზიციის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები (სახელი გვარი);
3. ვაკანტური პოზიციის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები (სახელი გვარი);

კომისიის თავმჯდომარე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

თარიღი: __/_____/2015წ.